სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება დაწყებითი განათლების სტუდენტებისათვის

9 ოქტომბერს, 18:00 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 115 აუდიტორიაში შედგება პროექტის პრეზენტაცია „სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება დაწყებითი განათლების სტუდენტებისთვის“.

პროექტს ახორციელებს ბალტიის და შავი ზღვის ალიანსი - საქართველო (Baltic to Black Sea Alliance - Georgia).

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის მიზანია, დაწყებითი განათლების ბაკალავრეატის სტუდენტებისთვის, სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება.

სტუდენტებს მიეწოდება ახალი სასწავლო კურსი რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ემოციების მართვა, ურთიერთობები, თვითშემეცნება, ემპათია და ალტრუიზმი, კომუნიკაციის უნარები და კრიტიკული აზროვნება, სტრესთან გამკვლავება, მოზარდობის და ახალგაზრდა ასაკის ფსიქიკური პრობლემები და სხვ. სწავლების კურსი შედგება 15 გაკვეთილისგან, რომელიც მოიცავს ემპირიულ ინტერაქციულ აქტივობებს, როლურ თამაშებს და დისკუსიებს. აღნიშნული ცოდნის და უნარების ათვისება დაეხმარება მომავალ მასწავლებლებს ხელი შეუწყონ პოზიტიური ფსიქოლოგიური გარემოს შექმნას სკოლებში, სადაც ისინი იმუშავებენ.

პროექტის პირველ ეტაპზე, კურსი ხელმისაწვდომი იქნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, დაწყებითი განათლების პროგრამის სტუდენტებისათვის.

პროექტის მეორე ეტაპზე (2024-25 წწ) დაგეგმილია სოციალურ-ემოციური კომპეტენციების სწავლება კიდევ 5 უნივერსიტეტში: ილიას უნივერსიტეტი, თელავის, ქუთაისის, ბათუმის და კავკასიის უნივერსიტეტებში.

სასწავლო კურსის ავტორები:

- სიმონ სურგულაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ლონდონის კინგს კოლეჯის (King's College London, UK) საუნივერსიტეტო კლინიკის კრიზისული სამსახურის ექიმი-ფსიქიატრი, კინგს კოლეჯის მოწვეული უფროსი ლექტორი.

- თინა ცომაია, აკადემიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, ბალტიის და შავი ზღვის ალიანსის თავმჯდომარე.

- გიორგი ჭანტურია, განათლების სპეციალისტი, განათლების კოალიციის დირექტორი. გიორგის ინიციატივით ყოველწლიურად ტარდება მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსი.

- მედეა ზირაქაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი „გამმას" აკადემიური დირექტორი. მედეა არის მოწვეული ლექტორი ილიას სახელმწიფო და ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტებში.

პროექტის გენერალური სპონსორი:
გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი
პროექტის ოქროს სპონსორები არიან:
PASHA Bank Georgia, TBC ბანკი და RE|Bank

საკონტაქტო პირი:
თამარ რევაზიშვილი,
პროექტის მენეჯერი
+995 511 16 52 15
tamar.revazishvili.1@iliauni.edu.ge